# ოქტომბრის დროშა ფრიალებს მსოფლიოში

მოსკოვი, 3 ნოემბერი (საქდესი). საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებებისათვის სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, მომავალ წარმატებათა რწმენის გრძნობით შეიკრიბნენ დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილენი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სასახლის უზარმაზარ დარბაზში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილეები, ცენტრალური ორგანიზაციების, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საზოგადოებრიობის, მშრომელთა წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის ზეიმზე.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს**, როცა ისინი დარბაზში შემოვიდნენ.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ნ. ვ. პოდგორნიმ. მან თქვა, რომ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ახლა შეჰყურებს საბჭოთა კავშირს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს. სხდომის მონაწილეთა სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა 95 ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს, რომლებიც სხდომას ესწრებიან.

ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 216 (3446)

4

1967 წ. ნოემბერი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.


# სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსი

— ორმოცდაათი წლის წინათ,— თქვა ამხ. ბრეჟნევმა, — მოხდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღეს სახელმწიფო ძალაუფლება. მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში გაისმა ლენინის სიტყვები: „მუშურ-გლეხური რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზე მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, განხორციელდა".

ზამთრის სასახლის შტურმი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა სმოლნიში დაიწყო სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობა. ყრილობამ შექმნა საბჭოთა მთავრობა ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით. იშვა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო.

ოქტომბრის გამარჯვებამ დასახა სოციალიზმის იდეალების განხორციელების გზა. მოკლე ისტორიულ ვადებში ჩვენმა სამშობლომ დასძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და მძლავრ დიდად განვითარებულ სახელმწიფოდ გადაიქცა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა პირველმა შექმნეს სოციალისტური საზოგადოება, პირველმა დაიწყეს კომუნიზმის მშენებლობა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მძლავრი ბიძგი მისცა მთელ მსოფლიო საზოგადოებრივ განვითარებას, დააჩქარა რევოლუციური და განმათავისუფლებელი ბრძოლის მიმდინარეობა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რომელთა დროშით გაიმარჯვა ოქტომბერმა, დღეს დაეუფლნენ მილიონთა გონებასა და გულს, მძლავრ შემოქმედებით ძალად იქცნენ.

განვლილი ნახევარი საუკუნის ისტორიული შედეგი იმით გამოიხატება, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა მუშათა კლასის სასარგებლოდ, პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ძალების სასარგებლოდ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო, თქვა შემდეგ ამხ. ბრეჟნევმა, მხურვალედ ულოცავენ დიად დღესასწაულს ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს — მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, ყველა საბჭოთა ადამიანს!

დარბაზში გრიალებს ტაში.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ დიდი ოქტომბერი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებაა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და დასაბამი მისცა საზოგადოების გარდაქმნას თვით მშრომელთა ინტერესებისათვის. მან დასახა ერა მუშათა კლასის, ყველა მშრომელი ადამიანის განთავისუფლებისა უბედურებისაგან, ტანჯვისა და დამცირებისაგან, რომლებიც მჩაგვრელთა ათასწლოვანმა ბატონობამ წარმოშვა.

კლასობრივი ბრძოლის მთელი გამოცდილება გვასწავლის, განაგრძო ამხ. ბრეჟნევმა, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, როცა მას შესწევს თავის დაცვის უნარი. დიდმა ოქტომბერმა ცხადყო, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჭეშმარიტებას სოციალისტური რევოლუციისათვის, რომლის წინააღმდეგ გამოდიან ძველი სამყაროს მთელი ძალები. მრისხანე დღეებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას თავს დაატყდნენ კონტრრევოლუციისა და ინტერვენტთა ურდოები, ბლოკადის, ხაბოტაჟის, კულაკთა ამბოხებების ვითარებაში, რევოლუციურმა რუსეთმა ჩააბარა თავისი ყველაზე პასუხსაგები გამოცდა. მან ჩააბარა ეს გამოცდა, დაიცვა რა თავისი სიცოცხლის უფლება. უძლეველი მოიხვეჭა მაშინ ოქტომბრის ცეცხლში შობილმა წითელმა არმიამ.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიშანი, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელმაც რუსეთის მუშები მტკიცედ დააკავშირა მათ კლასობრივ ძმებთან მთელ მსოფლიოში.

მგზნებარე სიტყვები მიუძღვნა მომხსენებელმა ძვირფას, დაუვიწყარ ილიჩს. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, თქვა მან, ისტორიაში შევიდა როგორც ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, როგორც უდიდესი ბელადი და ორგანიზატორი მშრომელი მასებისა და ამავე დროს როგორც გენიალური მეცნიერი. იგი იყო რევოლუციონერი ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და კეთილშობილური მნიშვნელობით. მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩაიარა დაძაბულ ბრძოლაში მშრომელი ხალხის ბედნიერებისა და ინტერესებისათვის.

მოხსენების დიდი ნაწილი მიეძღვნა საბჭოთა ხალხის დიად გმირობას, ხალხისას, რომელმაც უძნელეს პირობებში ააშენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი.

როცა შეუდგა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნას, თქვა ამხ. ბრეჟნევმა, პარტიას ესმოდა: სოციალიზმი რომ აეშენებინა, უნდა შეექმნა მსხვილი თანამედროვე მრეწველობა. ეს უნდა განეხორციელებინა უმოკლეს ისტორიულ ვადებში ან უნდა დამარცხებულიყო — სხვა არჩევანი ჩვენ არა გვქონდა. სწორედ ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა გახდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

სოციალიზმის ინდუსტრიული ბაზის აშენებისთვის საბჭოთა სახელმწიფოს იმ დროს აკლდა კაპიტალები, აკლდა ტექნიკა, არ ჰყავდა გამოცდილი კადრები. ჩვენ არ შეგვეძლო აგრეთვე საზღვარგარეთის დახმარების იმედი გვქონოდა. მაგრამ ჩვენ გვქონდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილება. ჩვენ გვქონდა მასების რევოლუციური ენთუზიაზმის უდიდესი მუხტი, და ამან საშუალება მისცა საბჭოთა ხალხს თითქოს შეუძლებელი შესაძლოდ გაეხადა.

სოციალიზმი რომ აგვეშენებინა, არა მარტო უნდა შეგვექმნა მძლავრი მრეწველობა, არამედ აგრეთვე უნდა გაგვეხორციელებინა სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, აღნიშნა ამხ. ბრეჟნევმა. ეს იყო უაღრესად ძნელი ამოცანა. ამ გიგანტური სოციალური პრობლემის გადაჭრის გზა გამონახა ლენინმა. მან შეიმუშავა ცნობილი კოოპერაციული გეგმა, რომელიც პარტიამ საფუძვლად დაუდო თავის საქმიანობას სოფლად.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ლენინური კურსის გამარჯვებას, თქვა მომხსენებელმა, უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქსა და სოფლად შეიქმნა სოციალიზმის ეკონომიური ფუნდამენტი. შეიცვალა მუშათა კლასისა და გლეხობის სახე, განმტკიცდა კავშირი მათ შორის. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობის განმტკიცებას.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, წარმოუდგენელი იქნებოდა, პარტიას რომ ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე მთელი ენერგიითა და მიზანდასახულობით არ მოეკიდა ხელი კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელო-


(დასასრული მე-2 გვ.).




მოსკოვი, 3 ნოემბერი. კრემლის ყრილობათა სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს ერთობლივი საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

საქდესის ფოტოქრონიკა. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

# სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსი

(დასასრული)

ბის ამოცანა. „სწავლა, სწავლა და სწავლა!“ — მოგვიწოდა ლენინმა. და მთელი ქვეყანა ჩაუჯდა წიგნს. მილიონობით მუშა და გლეხი დაძაბული შრომითი დღის შემდეგ სწავლობდა წერა-კითხვას, სწვდებოდა კულტურის; მეცნიერებისა და მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძვლებს, რათა ცოდნით შეიარაღებულს ეშენებინა ახალი ცხოვრება.

ლ. ბრეჟნევმა შემდეგ ილაპარაკა დიდ სამამულო ომზე. ჩვენ არ გვშირდებოდა ომი. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავიდან აეცილებინა იგი. მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. 1941 წელს ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ შეწყვიტა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა. გაჩაღდა თავისი მასშტაბით უმაგალითო ბრძოლა იმპერიალიზმის დამქვრელ ძალებსა და პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს შორის.

ომის წლებში მთელი ძალით გამოვლინდა წარმმართველი როლი კომუნისტური პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობით იჭედებოდა გამარჯვება. ფაშიზმის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით უმაგალითო ბრძოლაში უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულმა ძალებმა. ჯარისკაცებისა და ოფიცრების მასობრივმა გმირობამ, პარტიზანთა და იატაკქვეშელთა თავდადებამ ცხადყო, თუ რა უდიდესი, უძლეველი ძალაა სოციალისტური პატრიოტიზმი. ანადგურებდნენ რა ფაშისტებს, საბჭოთა ადამიანები იცავდნენ ოქტომბრის საქმეს, სოციალიზმის საქმეს, თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალს.

აღვნიშნავთ რა დღეს სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, თქვა შემდეგ ამხ. ბრეჟნევმა, კმაყოფილებითა და სიამაყით შეგვიძლია შევაჯამოთ განვლილი გზის დიდებული შედეგები.

ჩვენს ქვეყანაში აშენებული განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, — ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“. სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობა უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნიკურ დონეზე მთელი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ, მყარ განვითარებას. ჩვენი ინდუსტრიის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების მაღალ დონეს ნათლად მოწმობს საბჭოთა კავშირის მიღწევები კოსმოსის კვლევაში.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგები. საბჭოთა კავშირის ყველა ერი და ხალხი დაადგა აყვავების გზას და მიაღწია უდიდეს წარმატებებს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. სოციალიზმმა აამოქმედა ჩვენი განვითარების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა, როგორიცაა ხალხთა მეგობრობა. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთობა ალმასივით მტკიცეა.

სოციალიზმმა ჩვენს ხალხს მისცა ის, რაც არა აქვთ ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს: გაათავისუფლა კაპიტალისტთა ჩაგვრისაგან, ჩაუნერგა ხვალინდელი დღის რწმენა. საბჭოთა ადამიანებმა არ იციან რა არის ექსპლოატაცია, რა არის უმუშევრობა, — და ეს არასოდეს არ ეცოდინებათ.

პარტია და სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისათვის. მიმდინარე წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, როგორც მოგეხსენებათ, მიიღეს ახალი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რაც უშუალოდ ეხება 50 მილიონზე მეტ საბჭოთა ადამიანს. დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში არასოდეს არ გაღებულა ერთდროულად ესოდენ დიდი სახსრები მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა ხალხის ამოცანებს. კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის ძირითადი პლაცდარმია, თქვა მომხსენებელმა, ეკონომიკა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. იმაზე, თუ როგორ განვავითარებთ სახალხო მეურნეობას, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბჭოთა საზოგადოების წინსვლის ტემპიც, ორი მსოფლიო სისტემის შეჯიბრების მსვლელობაც და ჩვენი წვლილიც მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში. ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გვქონდეს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ინდუსტრია — როგორც წარმოების საერთო მოცულობით, ისე მეცნიერულ-ტექნიკური დონით, გამოშვებული პროდუქციის ხარისხითა და მთავარი ეკონომიური მაჩვენებლებით. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ გეგმიანი მეურნეობის ყველა უპირატესობა.

აღნიშნავს რა ოქტომბრის სახელოვან წლისთავს, თქვა შემდეგ ამხ. ბრეჟნევმა, ჩვენი პარტია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს: წლითიწლობით სულ უფრო განმტკიცდება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, გაუმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. საბჭოთა ადამიანი სულ უფრო სრულად ისარგებლებს მოპოვებული ნაყოფით, სულ უფრო უკეთ იგრძნობს სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობებს.

სამართლიანად აღვნიშნავთ ჩვენს წარმატებებს, მაგრამ ვხედავთ, რომ გადაუჭრელი საკითხებიც გვაქვს, თქვა მომხსენებელმა. ვიცით, რომ დღეს ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი ოჯახი როდი ცხოვრობს ისე, როგორც ყველას გვინდა. ამიტომ პარტია მთელ თავის საქმიანო[...] ბაში, ყველა გეგმაში განსაკუთრ[...] ბულ ყურადღებას უთმობს ხალხ[...] კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მოხსენების დიდი ნაწილი ლ. [...] ბრეჟნევმა მიუძღვნა იმას, [...] როგორ გაალღვივა დიდმა ოქტომბ[...] რმა რევოლუციის ნაპერწკალ[...] მძლავრ ცეცხლად გადააქცია [...] და ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლ[...] დროს რაოდენ ძირეულად შეიცვ[...] ლა ძალთა თანაფარდობა მსოფლ[...] ოში, სადაც ახლა კაცობრიობის [...] სამედი დაადგა სოციალიზმის გზ[...]

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასია[...] საბჭოთა კავშირის ლენინური საგ[...] რეო პოლიტიკა, ხალხთა მშვიდ[...] ბისა და უშიშროების პოლიტ[...] რომლის მიზანია მხარი დაუჭირ[...] ყველას, ვინც იბრძვის ყველა ფორ[...] მის კოლონიური და ეროვნული [...] გვრის ლიკვიდაციისათვის. ყვე[...] ერის ნამდვილი თანასწორუფლ[...] ბიანობისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების [...] სკვნითი ნაწილი მიეძღვნა ლენინ[...] პარტიას — საბჭოთა ხალხის [...] ბრძოლ ავანგარდს, ჩვენს გამარ[...] ვებათა სულისჩამდგმელსა და ო[...] განიზატორს. დარბაზში კვლავ იქ[...] ხა ტაში, როცა ლ. ი. ბრეჟნევ[...] თქვა:

მთელი მსოფლიოს მშრომელ[...] წინაშე ლენინის პარტია საჯარო[...] აცხადებს: საბჭოთა კავშირის კომ[...] ნისტები, დიდი საბჭოთა ხალ[...] შეასრულებენ თავიანთ ისტორიუ[...] მისიას — წარმატებით ააშენებ[...] მსოფლიოში პირველ კომუნისტ[...] საზოგადოებას! (საქინფორმი).

# გარდამავალი დროშა სამუდამოდ

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვებისთვის საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას სამუდამოდ დარჩა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა 8-ჯერ იყო დაჯილდოებული.

ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ეწევიან ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის, თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებისთვის. საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ 1 ნოემბრისთვის გადაჭარბებით შეასრულა გეგმა-ვალდებულებანი და სასახელო მაჩვენებლებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს დადგენილებით გარდამავალი წითელი დროშები სამუდამოდ დარჩათ თბილისის სპორტკავშირსა და „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს.



რამდენი სახელოვანი გამარჯვება უზეიმია სურათზე აღბეჭდილ ჩვენს სახელგანთქმულ სპორტსმენებს, რამდენჯერ უსახელებიათ მათ ქართული სპორტი საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობებში.

და აი, ისინი გუშინ, მარადსახსოვარ დღეს მოვიდნენ საქართველოს სპორტკავშირში, რათა მათაც გაეწაწილებინათ ჩვენი სიხარული სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის რესპუბლიკაში სამუდამოდ დარჩენის გამო.

სურათზე: ჩვენი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები. მარცხნიდან: — ა. ქიბროწაშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. იევლევა და ა. მეტრეველი სამუდამოდ დასაკუთრებულ წითელ დროშასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზთან.

# ჯილდოები ღირსეულთ

78. ვ. ელაშვილი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

79. შ. ელიაშვილი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

80. ს. ერქვანიძე — სამტრედიის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

81. ბ. თავართქილაძე — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი.

82. ი. თავდიდიშვილი — ქუთაისის „დინამოს“ მწვრთნელი ტანვარჯიშში.

83. ნ. თაყაიშვილი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

84. პ. თედეევი — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.

85. ა. თევოსიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი.

86. მ. თიკანაძე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

87. ხ. თორთლაძე — ქუთაისის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

88. ნ. იახიოპულო — „დინამოს“ აფხაზეთის საბჭოს მწვრთნელი.

89. დ. იოსელიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგე.

90. ვ. იოსელიანი — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

91. ს. ილინი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის საწყლოსნო სახეობების კათედრის დოცენტი.

92. ა. კაიშაური — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

93. გ. კაკაურიძე — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

94. გ. კალანდაძე — ბათუმ[...] „განთიადის“ საწყლოსნო სადგ[...] რის დირექტორი.

95. ვ. კალანდაძე — სოხუმის [...] ბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლ[...] სასწავლო ნაწილის გამგე.

96. ბ. კანდელაკი — თბილის[...] ლენინის სახელობის სპორტულ[...] დარბაზის დირექტორი.

97. ა. კარანაძე — საქართველ[...] კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილ[...] ბის გამგე.

98. ა. კარპოვი — თბილისის [...] ხანძრო დაცვის სამმართველ[...] ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

99. ლ. კაპიტანოვი — თბილის[...] მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმ[...] ფიზკულტურის უფროსი მასწა[...] ლებელი.

100. გ. კაჭარავა—აბაშის სპორ[...] სკოლის დირექტორი.

101. ა. კვესიტაძე — ზესტაფო[...] ნის ჭაბუკთა და ბავშვთა სპორ[...] სკოლის დირექტორი.

102. მ. კაველიძე — საქართვე[...] ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუ[...] ფიზაღზრდის კათედრის გამგე.

103. ნ. კეცხოველი — სსრ კ[...] შირის მთამსვლელობის ფედე[...] ციის წევრი.

104. ი. კიზირია — ლილოს მა[...] ვის სახალხო-გამაჯანსაღებელი კ[...] ბის „ლილას“ ფიზკულტურ[...] საბჭოს თავმჯდომარე.

105. შ. კილაძე — საქართველ[...] ფიზკულტურის ინსტიტუტის მძ[...] ოსნობის კათედრის უფროსი მას[...] ვლებელი.

106. ტ. კიკნაველიძე — „[...] თიადის“ ცენტრალური საბჭოს გ[...] ყოფილების გამგე.

107. მ. კირაკოსიანი — ამიერ[...] კასიის რკინიგზის ბათუმის კვა[...] ფიზკულტურული საბჭოს თავ[...] დომარე.

108. გ. კირვალიძე — „შრომ[...] რეზერვების“ რესპუბლიკური ს[...] ჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

109. კ. კრაეჩენკო — „შრომ[...] რეზერვების“ უფროსი მწვრთნე[...] ფეხბურთში.

110. ნ. კოპლატაძე — საქართვ[...] ლოს სპორტკავშირის განყოფ[...] ბის გამგის მოადგილე.

111. ვ. კოსმაჩევსკი — თბი[...] სის ახალგაზრდული სპორტსკო[...] სასწავლო ნაწილის გამგე.

112. ა. კუკი — ბათუმის ბავშ[...] სპორტსკოლის მწვრთნელი მძლ[...] სნობაში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 215.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურნის ხმა ფალავნებს უხმობს

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედანზე დაიწყო „კოლმეურნის" პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. როგორც ცნობილია, ამ ტურნირს წინ უსწრებდა ზონალური შეჯიბრებები (სულ იყო 6 ასეთი ზონა), რომელშიც I-II ადგილებზე გამოსულმა კოლექტივებმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მათ დაემატათ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატებში გამარჯვებულნი. ასე რომ, უძლიერესის სახელისთვის იბრძვის 14 გუნდი. წითელწყაროს თბილისში მოჭიდავეები არ მოავლინა. მონაწილეთა შორის ვერ ნახავთ ვერც გორის რაიონის წარმომადგენლებს. მაგრამ ამას უკვე თავისი გამართლება აქვს: გორელებმა ზონალურ ასპარეზობაში მხოლოდ IV ადგილი დაიკავეს და ფინალის მიღმა აღმოჩნდნენ. საწყენია, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე გორის რაიონი წლობით თმობს პოზიციებს და მჩქეფარე საჭიდაო ცხოვრების გარეთ რჩება.

პირველი წრის შეხვედრები საინტერესო სპორტული ბრძოლებით აღინიშნა. ეს ითქმის როგორც ქვედა, ისე ზედა წონით კატეგორიებზე. სასიხარულო იყო ყველაზე მძიმე წონის წარმომადგენელთა ენთუზიაზმი და აქტიურობა. 5 შეხვედრიდან ორში ფიქსირებულ იქნა წმინდა მოგება, ხოლო სამში — ქულებით.

ერთ წუთზე ნაკლები მოანდომეს გამარჯვებას კასპელმა მალაციძემ (აფხაზეთის წარმომადგენელ მალანიასთან) და ლენტეხელმა ჯინჭარაძემ (ზესტაფონელ დეკანოსიძესთან). ქიტიაშვილმა (ქარელი) ქულებით სძლია კბილაშვილს (გარდაბანი), ზაქაიძემ (მცხეთა) — კვიციანს (ზუგდიდი), გობოზოვმა (სამხრეთ ოსეთი) — ანსიანს (მესტია).

შეჯიბრება გრძელდება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კასპელ გ. ბალხამიშვილისა და მცხეთელ ა. გელიაშვილის შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ვილოცავთ წარმატებას

სჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შემდგენელთა და ამომხსნელთა „ლელოს" კონკურსმა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პრობლემისტებმა და ეტიუდისტებმა საკონკურსოდ 40-მდე ორიგინალური ამოცანა და ეტიუდი გამოგზავნეს, მაგრამ გაზეთში მხოლოდ 16 ამოცანა და 2 ეტიუდი დაიბეჭდა. ნაწარმოებთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებდა კომპოზიციის მოთხოვნებს, ამიტომ დასაჯილდოებლად მხოლოდ ორი ოთხსვლიანი ამოცანა შეირჩა.

I პრიზი დაიმსახურა **ი. კოტრიკაძისა** (ქუთაისი) და **ჯ. მახათაძის** (ზესტაფონი) კოლექტიურმა ამოცანამ („ლელო", № 152).

**შამათი ოთხ სვლაში**



ამ ამოცანის იდეის ავტორია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ყოფილი მთავარი მეტალურგი ი. კოტრიკაძე. მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ამოცანაზე მუშაობა განაგრძო ზესტაფონელმა ინჟინერ-ტექნოლოგმა ჯ. მახათაძემ და მეგობრის ჩანაფიქრს ხორცი შეასხა.

ამოცანაში შესანიშნავადაა შენიღბული თეთრი მეფის მანევრი, რომლითაც თავზარდამცემი გახსნილი ქიში მზადდება. ამომხსნელთა კონკურსის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ ამ ამოცანის სიძნელეს.

1. მფh7 თეთრები g8 უჯრისკენ მიილტვიან, რათა შეძლონ მe6-ით შამათის მუქარის შექმნა. მანამდე ეს არ შეიძლება ეტლით ქიშის გამო. 1. ... კh1.

ვერ იგებს 1. მფg7 1. ... კh5-ის გამო. ვერც 1. მb7 ვერ აღწევს მიზანს: 1. ... კ:e3+ 2. ლ:e3 კh5-ის გამო. სხვათა შორის, შავებს ვერც ნებისმიერი 1. ... კb6 შველით, რადგან თეთრები ოსტატურად იყენებენ b6 უჯრის შორეულ ბლოკირებას: 2. ლc1+ მფb4 3. a3+ მფa5 4. ლc3X.

2. მფg8 კf3 (თეთრებს ჩანაფიქრის განხორციელებას არც სხვა სვლა უშლით) 3. მe6! და შემდეგი სვლით შამათი გარდუვალია.

ამ კარგ ამოცანას ყოველი კონკურსის დამშვენება შეეძლო.

II პრიზი ჩვენი ცნობილი პრობლემისტის **რ. თავართქილაძის** (თბილისი) ამოცანას („ლელო", № 138) მიენიჭა.

**შამათი ოთხ სვლაში**



ამ ნაწარმოების ძირითადი აზრია ლაზიერისა და ეტლის ბრძოლა. ლაზიერი ეტლის სვლების შესაბამისად სინქრონულად მოძრაობს.

ამოცანის ამოხსნაა: 1. ლa4. შავი ეტლი არჩევანშია: თუ 1. ... ეf2, მაშინ 2. ლe4, 1. ... ეg2 2. ლf4, 1. ... ეh2 2. ლg4. ერთი შამათი e3 უჯრის ბლოკირებით გამოდის: 1. ... ეe3+ 2. მc3+ მფc1 (თუ 2. ... ე:c3+ 3. მფ:c3 მფc1 4. ლa1X) 3. ლa1+ მფd2 ლd1X.

საქები მეფასებები თანაბარი უფლებებით მიენიჭათ: თბილისელებს — **გ. ბასილაიას** („ლელო", № 63), **მ. აზრუმელაშვილს** (№ 128), **შ. ადეს** (№ 138), **გ. ბასილაშვილს** (№ 152), ცხაკაიელ **ი. შოსტს** (№ 102) და აბაშელ **ლ. ჩიქობავას** (№ 128).

ამომხსნელთა კონკურსში ასზე მეტმა მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. ბევრმა მათგანმა თამაშის ძალა, საკომპოზიციო იდეების ცოდნა და ამოცანების ამოხსნის მოსაწონი უნარი გამოავლინა.

აქტიურ ამომხსნელებს „ლელო" საჭადრაკო ლიტერატურით აჯილდოებს. აი, ისინიც: დ. გურგენიძე (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური), თ. ლეთოდიანი (წულუკიძე), გ. თურქაძე, ე. მახათაძე, მ. ფარცხალაძე (სამივე — ზესტაფონი), გ. ხოჭოლავა (ცხაკაია), კ. იჭირაული (თელავის რაიონი, სოფ. ნაფარეული), რ. ელაშვილი (სამტრედიის რაიონი, დ. კულაში), ს. თოთლაძე, გ. ლურსმანაშვილი (ორივე — ქარელის რაიონი, აგარა), მ. ჯანხოთელი (ლენტეხის რაიონი, სოფ. ჩიხარეში), თ. ლოლომაძე, ი. ენუქიძე, ნ. მელვინიშვილი, ს. ქლენტი, ვ. მანტკავა, ე. ჭუმბურიძე (ყველა — თბილისი), ა. ქუხილავა (წალენჯიხის რაიონი, ჯვარი), გ. ერთგულაშვილი (ახმეტის რაიონი, სოფ. ახმეტა), იზოლდა კობაიძე (წითელწყაროს რაიონი, სოფ. ზემო ქედი), ლ. გაბიძაშვილი, ყ. ყურბანოვი (ორივე — ქუთაისი), ა. ჭკადუა (სოხუმი), ნ. ბელქანია (წალენჯიხა), თინა ბერიშვილი (ონი), ვ. გორდიენკო, ა. გორგიშვილი (ორივე — რუსთავი), რ. ჭედია (ოჩამჩირე), გ. ამირხანოვი (ხაშურის რაიონი, სოფ. იტრია), ა. კირკიტაძე (ტყვარჩელი), ხ. და ე. გოგოჭურები (ორივე — გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა), გ. გიგაშვილი (ქარელის რაიონი, სოფ. რუისი), გ. გელაძე (ცხინვალი).

„ლელო" კონკურსში მონაწილეობისთვის მადლობას უხდის ყველა შემდგენელსა და ამომხსნელს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს მათ.

**თ. გიორგაძე,**
**ვ. კალანდაძე,**
**„ლელოს" კონკურსის ჟიური.**

# სირბილით, ცურვით, ნავით...



ბათუმში გაიმართა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თასის გათამაშება კომბინირებულ ესტაფეტაში. შეჯიბრება ოქტომბრის ზეიმსა და კომკავშირის იუბილეს მიეძღვნა. სტარტზე გამოვიდა „დინამოს", „განთიადის", „სპარტაკის", საზღვაოსნო სასწავლებლისა და სხვა გუნდები.

სტარტიდანვე დინამოელები დაწინაურდნენ, მაგრამ რამდენიმე ეტაპის შემდეგ ისინი საზღვაოსნო სასწავლებლის სპორტსმენებმა ჩამოიტოვეს. მომდევნო ეტაპზე ნიჩბოსანს ესტაფეტა პირველებმა სწორედ მათ გადასცეს.



ი. კვანტრიშვილმა ბაიდარით ასპარეზობისას კიდევ უფრო დააწინაურა თავისი კოლექტივი, მოცურავე თ. ქობულაძემ კი განამტკიცა ეს უპირატესობა. გაიმარჯვა საზღვაოსნო სასწავლებლის კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და ბათუმის სპორტკავშირის გარდამავალი პრიზი. დინამოელები II ადგილზე გავიდნენ.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — შეჯიბრება დაიწყო; ქვემოთ — კვანტრიშვილი ესტაფეტას გადასცემს ქობულაძეს.

ტექსტი და ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

# შეწირვების ტური

ხუსი, 2 ნოემბერი. საზონათშორისო ტურნირის XIII ტურში ერთ-ერთი ულამაზესი პარტია ითამაშა ე. გელერმა. მან ჯერ ფიგურა შესწირა ტუნისელ ბუაზიზს, შემდეგ ხარისხი და ხუთი გადაბმული პაიკი მიიღო მისი ეტლის წინაალმდეგ, ბოლოს კი დაამამათა ტუნისის ჩემპიონის მეფე. ეფექტურად გაიმარჯვა ვ. კორჩნოიმაც, რომელიც კანადელ დ. სატლს ხვდებოდა. მან ფიგურის ლამაზი შეწირვით აიძულა მეტოქე, რომ თავი დამარცხებულად ეცნო. წარუმატებლად ითამაშეს ლ. შტეინმა და ა. გიპსლისმა. სსრ კავშირის ჩემპიონი მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა იუგოსლაველ ს. გლიგორიჩთან თამაშის დროს და დამარცხდა. რიგელმა დიდოსტატმა წააგო ბრაზილიელ ე. მეკინგთან.

იუგოსლაველმა მ. მატულოვიჩმა მოუგო კოლუმბიელ მ. კუელარს, უნგრელმა ლ. პორტიშმა — მისსავე თანამემამულე ლ. ბარცას, ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ჰორტმა — ამერიკელ რ. ბირნს, ხოლო მონღოლმა ლ. მიაგმარსურენმა — უნგრელ ი. ბილეკს. იუგოსლაველი ბ. ივკოვისა და ჩეხოსლოვაკიელი ლ. კავალეკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გადადებულ პარტიებში ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) უპირატესობას ინარჩუნებს ო. სარაპუსთან (ახალი ზელანდია), ბ. ლარსენმა (დანია) მოუგო ს. რეშევსკის (აშშ). წინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრებისას ივკოვმა მოუგო სარაპუს, გლიგორიჩმა — კავალეკს, ლარსენმა — გიპსლისს. მიაგმარსურენ — მატულოვიჩის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ლარსენი 9,5 ქულა (13-დან), გლიგორიჩი 9 (12), რ. ფიშერი 8,5 (11), ჰორტი 8,5 (13), კორჩნოი 8 (12), პორტიში 8 (13).

# სტუდენტთა ასპარეზობა დამთავრდა

დნეპროპეტროვსკში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში.

როგორც ვიუწყებოდით, კარგად იასპარეზეს ჩვენმა ესპადრონისტებმა, რომელთაც I ადგილი დაიკავეს. ქების ღირსნი არიან დაშნით მოფარიკავეებიც (II ადგილი). როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში ყველაზე ნაკლები წარმატება ხვდათ რაპირისტ ვაჟებს — VI ადგილი.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა უკრაინის, II — მოსკოვის ძლიერმა კოლექტივმა. ქართველი სტუდენტები III ადგილს დასჯერდნენ.

უნდა აღინიშნოს ო. საკანდელიძის, გ. ბახტაძის, თ. უკლებას, დ. ლორთქიფანიძის და გუნდის ყველაზე უმცროსი წევრის ზ. ადამიას ოსტატობა.

**თ. ისლამოვი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# თ. რამაზაშვილი — აბსოლუტური ჩემპიონი

თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 60-მდე სპორტსმენი.

ქალთა ერთეულების ფინალში უძლიერესის სახელისთვის ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, გამოცდილი ოსტატი ს. პარფინიდი და ე. კარპენკო. გამოცდილებამ თავისი გაიტანა: პარფინიდიმ „მშრალი“ გამარჯვება მოიპოვა — 3:0 (21:15, 21:15, 21:17). პარფინიდიმ ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ მისი ტოლი ოსტატობის მქონე სპორტსმენი საქართველოში ჯერ კიდევ არა გვყავს. 17 წლის ე. კარპენკოსთვის II ადგილი უთუოდ დიდი წარმატებაა. III-IV ადგილებისთვის დაძაბულ ბრძოლაში ლ. ავდალიანმა დაამარცხა ქ. ხურშუდიანი — 3:2.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალისტები გახდნენ თ. რამაზაშვილი და ა. არუთინოვი. რამაზაშვილმა მართლაც რომ თანამედროვე თამაშის კლასი აჩვენა და გაიმარჯვა — 3:1 (21:16, 22:24, 21:15, 21:17). III ადგილი წილად ხვდა გ. მელაძეს, რომელმაც თავის მხრივ მოუგო ვ. კოლიკს — 3:0.

რამაზაშვილის წარმატებები ამით როდი დამთავრებულა. მან და მისმა თანამეწყვილემ გ. მელაძემ ფინალში დაამარცხეს ა. არუთინოვისა და ა. აბრამიანის „დუეტი“ — 2:1 (21:16, 8:21, 21:13). შემდეგ რამაზაშვილმა ლ. კამენსკაიასთან ერთად მოიგო შერეულ წყვილთა ფინალიც. აქ მათ დაამარცხეს ქ. ხურშუდიანი და ვ. გორგიშელი — 2:0 (22:20, 21:13). ამრიგად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა თ. რამაზაშვილმა ასპარეზობაში აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ქალთა წყვილების ფინალში უძლიერესის სახელისთვის რ. მკრტჩიან — ქ. ხურშუდიანისა და ს. პარფინიდ — ლ. ავდალიანის წყვილები იბრძოდნენ. აქ პირველებმა იმარჯვეს, მოიგეს შეხვედრა — 2:1 (14:21, 24:22, 21:11) და ჩემპიონობაც გაინაღდეს. III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ა. სუჯაშვილმა და ლ. კამენსკაიამ დაამარცხეს ლ. ფირსოვა და გ. ლევინა — 2:0.

ასპარეზობამ გვიჩვენა ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა ოსტატობის დონის ერთგვარი ამაღლება (ე. კარპენკო, მ. პაპუკაშვილი, ლ. ფირსოვა, ბ. ხერხეულიძე, გ. ლევინა და სხვ.). მაგრამ ეს სრულიად ვერ აკმაყოფილებს სპორტის ამ სახეობისადმი დღევანდელ მოთხოვნებს. საქმე ის არის, რომ ამ ახალგაზრდებში [illegible] ჩვენი საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელების ღირსეული მემკვიდრეები, რომლებიც უახლოეს წლებში შეძლებდნენ ს. პარფინიდის, თ. რამაზაშვილის და ამჟამად საზღვარგარეთ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მყოფ ს. სარხოიანის შეცვლას.

ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელებს და მათს მწვრთნელებს სერიოზული და გულდაგული მუშაობა მართებთ. თუ ეს არა, ჩვენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე საშუალო შედეგებსაც კი ვერ მოვიპოვებთ.

ფ. ლეონიძე.

# თვითმფრინავიდან... მატჩზე

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 3 ნოემბერი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:1).

„ტორპედო“: კავაზაშვილი, ჩუმაკოვი, პახომოვი, სარაევი, ლენიოვი, შუსტიკოვი, ალექსეევი, გერშკოვიჩი, სტაფეროვი, ბრედნევი, პაისი.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი (იამანიძე), გ. ნოდია, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა სხვადასხვა გახლდათ. მასპინძლები ცხრილის შუაში იმყოფებიან, ხოლო სტუმრები III ადგილის ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან. მოსკოველთა რიგებში არ იყვნენ ვორონინი და სტრელცოვი. ნაკრების თბილისელი წევრები — ხურცილავა და ცხოვრებოვი კი არ მოერიდნენ დაღლილობას (ისინი თამაშის წინ ჩამოფრინდნენ საბერძნეთიდან) და დაცვის სული და გული იყვნენ.

სწორედ ხურცილავას წყალობით მოიპოვეს თბილისელებმა მეტად საჭირო ორი ქულა. 31-ე წუთზე მან მეტოქის რამდენიმე მოთამაშეს აუარა გვერდი და იგი თითქმის პირით ხაზთან გავიდა, საიდანაც კარში დარტყმა ძნელი გახლდათ. ხურცილავამ მაინც დაარტყა კარში. კავაზაშვილმა მოიგერია ბურთი, მაგრამ იქვე მდგომმა ნოდიამ იგი ბადეში გახვია. შესვენებამდე ანგარიში უცვლელი დარჩა.

მეორე ტაიმში მოსკოველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს თბილისელთა კართან. განსაკუთრებით აქტიურობდა ალექსეევი. სწორედ მან 58-ე წუთზე შესანიშნავად ჩააწოდა ბურთი კარის წინ მდგარ გერშკოვიჩს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა.

5 წუთის შემდეგ კუტივაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და გავაშელმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა. მატჩის ბოლო 15 წუთი ტორპედოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ თბილისელთა დაცვა, განსაკუთრებით კი ხურცილავა, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა მოიხვეჭეს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ერთადერთი საგზურისთვის

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან II ჯგუფის სამივე ქვეჯგუფიდან „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში გადავა მხოლოდ ერთი გუნდი, ნაცვლად იმისა, რომელიც აქ დაიკავებს ბოლო, მე-19 ადგილს.

ამ ერთადერთი საგზურისთვის ახლა იბრძვის 3 გუნდი „დინამო“ (კიროვაბადი), ასკ (კიევი) და „შახტიორი“ (ყარაგანდა).

უკვე შედგა 2 მატჩი. ორივე თამაში ჩატარდა ყარაგანდაში, სადაც ყაზახეთის ფეხბურთელებმა ჯერ დაამარცხეს კიევის არმიელთა გუნდი (3:1), ხოლო შემდეგ — კიროვაბადის „დინამო“ (1:0).

გუშინ კიროვაბადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და კიევის არმიელები. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ქულები თანაბრად გაიყვეს

მოსკოვი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 2 ნოემბერი.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1 (0:1).

„ლოკომოტივი“: შეხოვი, ბასალაევი, როდიონოვი, ზაიცევი, ალექსანდროვი, უსატორე, მიხაილოვი, კოხი, ორეშნიკოვი, პეტროვი, შელუდკო.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ძოძუაშვილი, წივწივაძე, ებრალიძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ზარია, ვეკუა, ხაჟალია, ჰითანავა.

მსაჯი ა. ცაპოვეცკი (კიევი).

დუბლიორები — 5:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

სატურნირო მდგომარეობა აიძულებდათ მეტოქეებს მთელი გულით ებრძოლათ. თავდაპირველად ინიციატივა ხელთ იგდეს მასპინძლებმა და ფართო ფრონტით შეუტიეს ტორპედოელთა კარის მისადგომებს. რკინიგზელება უკვე მე-7 წუთზე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ კოხმა ბურთი 10 მეტრიდან ააცილა სტუმრების კარს. მსგავს პოზიციაში აღმოჩნდა ხაჟალია, მაგრამ მის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე შეხოვმა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს რკინიგზელები ეს-ეს არის გახსნიდნენ ანგარიშს, მაგრამ პირიქით მოხდა. ერქომაიშვილმა მარცხენა ფლანგზე გვერდი აუარა მასპინძელთა რამდენიმე მოთამაშეს და კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, რომელიც ვეკუამ „ლოკომოტივის“ კარში გაგზავნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბევრს უტევდნენ ქუთაისელები, მაგრამ მათ ანგარიშის გაზრდა ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა და წონასწორობა აღდგენილ იქნა — 1:1.

დარჩენილ დროში უფრო მეტად უტევდნენ მასპინძლები, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



ბამაკო (მალი). სტადიონი „ომნისპორი“ სსრ კავშირისა და მალის ურთიერთთანამშრომლობის ნაყოფია. მის მშენებლობაზე მხარდამხარ შრომობდნენ საბჭოთა და მალის სპეციალისტები. დღეს აქ საბჭოთა მწვრთნელები ხელმძღვანელობენ მძლეოსნობის, ფრენბურთის, კრივის, ფეხბურთის, ტანვარჯიშისა და სხვა სექციების მუშაობას.

სურათზე: „ომნისპორის“ კომპლექსის სპორტის სასახლე ბამაკოში. აქ ტარდება სპორტული შეჯიბრებები, ფილმების კვირეულები, კონცერტები.

ფოტო ვ. კოროჩანცევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## I „ა“ ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 18 | 10 | 2 | 45—10 | 46 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 32 | 17 | 12 | 3 | 50—19 | 46 |
| „დინამო“ (თბილისი) | 33 | 15 | 12 | 6 | 43—26 | 42 |
| „დინამო“ (მინსკი) | 32 | 11 | 16 | 5 | 42—27 | 38 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 32 | 12 | 13 | 7 | 40—36 | 37 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 31 | 11 | 13 | 7 | 34—25 | 35 |
| „არარატი“ (ერევანი) | 31 | 12 | 9 | 10 | 34—30 | 33 |
| ცსკა | 32 | 11 | 11 | 10 | 33—32 | 33 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 31 | 11 | 10 | 10 | 42—32 | 32 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 32 | 8 | 16 | 8 | 22—21 | 32 |
| ასკა (როსტოვი) | 32 | 11 | 7 | 14 | 33—40 | 29 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 31 | 11 | 6 | 14 | 34—42 | 28 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 32 | 8 | 11 | 13 | 23—35 | 27 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 33 | 7 | 13 | 13 | 33—47 | 27 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 33 | 9 | 9 | 15 | 24—46 | 27 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 32 | 7 | 11 | 14 | 30—33 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 33 | 4 | 17 | 12 | 28—40 | 25 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 32 | 7 | 9 | 16 | 20—41 | 23 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 32 | 6 | 9 | 17 | 24—52 | 21 |

• • •

- „კრილია სოვეტოვი“ — „პახტაკორი“ 0:0
- „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“ 0:0
- „ჩერნომორეცი“ — „ნეფტიანიკი“ 0:0
- „ზენიტი“ — ასკ (როსტოვი) 2:4

## ფეხბურთი

# მოკლედ

- **ნიქოზიაში** გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იტალიისა და კვიპროსის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს იტალიელებმა — 5:0. ორი ბურთის ავტორია მაცოლა, დანარჩენებისა — რივერა.
- **ლისაბონში** გაიმართა ფეხბურთის მატჩი ადგილობრივ „ბენფიკასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. ორივე ბურთის ავტორია ეუსებიო.
- **როტერდამში** ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 2:1.



◆ **სუსი**, 3 ნოემბერი. საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის XIV ტურში გელერმა დაამარცხა სატლსი, გიპსლისმა — ბუაზიზი, ლარსენმა—ბირნი, ბილეკმა — კუელარი. ყაიმზე შეთანხმდნენ კორჩნოი — გლიგორიჩი, შტეინი — ივკოვი, კავალეკი — მატანოვიჩი, მიაგმარსურენი — ბარცაი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კვლავ არ გამოცხადდა სათამაშოდ ფიშერი და მას ჰორტთან პარტიაში დამარცხება მიესაჯა.

◆ **სტამბოლი**, 3 ნოემბერი. ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატში კვლავ წარმატებით თამაშობენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ჩვენმა ქალთა გუნდმა ადვილად მოუგო გდრ-ის წარმომადგენლებს — 3:0 (15:1, 15:3, 15:2). ჩვენი ვაჟები შეხვდნენ კონტინენტის ჩემპიონებს — რუმინელ ფრენბურთელებს და დაამარცხეს ისინი ანგარიშით 3:1 (15:6, 15:8, 5:15, 15:7). დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ქალები. ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 0:3, პოლონეთი — უნგრეთი 3:1, ჰოლანდია — ისრაელი 3:0; ვაჟები. იტალია — გდრ 0:3, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 3:0, პოლონეთი — უნგრეთი 3:1.

# თასის მფლობელი დღეს გამოვლინდება

ორშაბათს ბუენოს-აირესში შედგა საკონტინენტთაშორისო თასის საპასუხო ფინალური მატჩი ადგილობრივ „რესინგსა“ და გლაზგოს „სელტიკს“ შორის (პირველი მატჩი გლაზგოში „სელტიკმა“ მოიგო — 1:0).

თამაშის წინ ავად გახდნენ „სელტიკის“ „დირიჟორი“ ოულდი და ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ჰიუზი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მინდორზე გამოსვლისთანავე, მოთელვის დროს, „სელტიკისადმი“ მტრულად განწყობილი ტრიბუნებიდან შოტლანდიელებს სხვადასხვა საგნები დაუშინეს. ერთ-ერთი მათგანი მოხვდა მეკარე სიმპსონს და იგი ისე დაშავდა, რომ მწვრთნელი იძულებული გახდა კარში მეორე მეკარე, ფელონი დაეყენებინა.

პოლიციის ჩარევის შედეგად შესაძლებელი გახდა მატჩის დაწყება. პირველ წუთებზე გლაზგოელმა ჯონსტონმა გაიტანა გოლი, მაგრამ მსაჯმა „თამაშგარე“ მდგომარეობა ჩათვალა. შემდეგ შოტლანდიელთა მარჯვენა გარემარბი ჯონსტონი საჯარიმო მოედანზე წააქცია მეკარე სეხასმა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ჯემელმა — 1:0. 10 წუთის შემდეგ არგენტინელმა რაფომ თავით გაქვითა ეს გოლი — 1:1. თამაშმა ძალზე უხეში სახე მიიღო. ანგარიში შესვენებამდე არ შეცვლილა.

მეორე ნახევრის დასაწყისში გლაზგოელთა მეკარემ ფელონმა მეორეჯერ გამოიტანა ბურთი ბადიდან, ამჯერად კარდენასის დარტყმის შემდეგ. თამაშის სადავეები არგენტინელებს ეპყრათ ხელთ, მაგრამ ბრძოლამ უკვე კრივის ხასიათი მიიღო. უკანასკნელი 15-20 წუთი გლაზგოელთა შტურმით აღინიშნა, რომელსაც მასპინძელთა დაცვამ გაუძლო. „რესინგმა“ გაიმარჯვა — 2:1.

დღეს მონტევიდეოში (ურუგვაი) გაიმართება მესამე, დამატებითი მატჩი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8. უე 04238